პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

25 სექტემბერი
კვირა

1918 ქართველ სოც. პარტიის კომიტეტმა დაადგინა, მუშებს საპროტესტოდ მოუწოდოს საბჭოთა რუსეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ.

1917. დემოკრატიულ თათბირზე პეტროგრადის საბჭოთა დელეგატებად აირჩიეს ბოლშევიკები ლენინი და ზინოვიევი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის [illegible]
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

— ამხ. ჩიჩერინმა პოლონეთის ულტიმატუმზე უპასუხა: საბჭოთა რუსეთი შეასრულებს რიგის ზავით ნაკისრ ვალდებულებებს იმავე ვადაში, რა ვადაშიც პოლონეთი აასრულებს ხსენებულ ზავით დაკისრებულ ვალდებულებებს.

— რუმინეთის მთავრობა აცხადებს, რომ მას სურს რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის დაცვა.

№ 169 კვირა, 25 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა, 25 სექტემბერი. 1921 წ. № 169

საქართველოს კომპარტიის ც. კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება და თბილ. კომიტეტი

კვირას, 25 სექტემბერს სახელმწიფო ოპერის თეატრში მართავენ მუშების და წითელ არმიელთა

საერთო კრებას

მოხსენებით თემაზე: „გლეხობისადმი დახმარების კვირა" გამოვლენ ამხანაგები: ორახელაშვილი, ლისოვსკი და ელიავა.

დასაწყისი საღამოს 5 საათზე ადგილობრივი დროით.

გლეხისადმი დახმარების კვირა

(თეზისები).

1. ძირითადი მიზანი, რომელიც ახლა სდგას პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე,—ესაა სამეურნეო ფრონტის აღდგენა. ომის და სამოქალაქო ბრძოლის შვიდმა წელმა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება ღრმათ შეარყია. ჩვენ უფრო ღარიბნი გავხდით, და ცხოვრების საერთო დონემ დაიწია. გზები გაფუჭდა, ხიდები დანგრეულია, სარწყავი არხები ავსებული, შემკავებელი დამბები წყალდიდობის დროს მოიხსნა, სასოფლო-სამეურნეო იარაღები გაცვდნენ და საჭიროებენ სასწრაფო შეკეთებას.

2. საქართველო მწვავე კრიზისს განიცდის, მას არ ყოფნის საკუთარი პური არა იმდენად იმის მიზეზით, რომ ის ღარიბი, დაჩაგრული ქვეყანაა, რამდენად თავისი სასოფლო-მეურნეობის ჩამორჩენილობის გამო. უდიდესი მოედნები დასავლეთ საქართველოში ჭაობიანია და ციებ-ცხელებას ავრცელებენ. მრავალი მიწა მეტად ნოყიერი ნიადაგით არ შეიძლება დამუშავებულ იქნას წყლის უქონლობის გამო: წვიმა ცოტა მოდის, ხოლო სარწყავი არხები არ მოგვეპოვება, დიდი მდინარეები, გაზაფხულზე ან ძლიერი წვიმების შემდეგ მოტულობენ, ხშირად ნაპირებს სცილდებიან, ნაშენ ბაღებს და ნათესს იტაცებენ, ან ავსებენ ქვიშით და ქვებით; კარგი გზების და ხიდების უქონლობა, ავდრის და ზამთრის განმავლობაში, მთელ სოფლებს სწყვეტს უახლოესი ქალაქებიდან; წყალსადენის უქონლობა მათ იძულებულ ხდის უვარგისი, არაჯანმრთელი წყლით ისარგებლონ, ან მისთვის შორს იარონ, მუშაობას ხან გრძლივად მოსცდნენ.

3. სოფელს, რომელიც ქალაქიდან განკერძოებული ცხოვრებით ცხოვრობს და ჩართულია მძიმე მუშაობაში, არ შეუძლია თვითონ საკუთარი ძალებით ბოლო მოუღოს ნგრევას და თავისი ნივთიერი კულტურა გააუმჯობესოს. ამისათვის მას არ გააჩნია არც ცოდნა, არც ტეხნიკური საშუალებანი და აუცილებელი მასალები, არა ყავს მუშა ხელის საკმაო რაოდენობა, მომზადებული ტეხნიკოსები და დახელოვნებული მუშები.

4. გლეხებს მშვენივრად ესმით ამოშრობის, სარწყავი წყლის მოწოდების და სხვა მთელი რიგი სამუშაოების აუცილებლობა, რომელნიც მძლავრად წასწევდნენ წინ მათ კეთილდღეობას და შრომის პირობებს გააუმჯობესებდნენ. მაგრამ დღევანდლამდე არც ერთი მთავრობა, არც მეფის, არც მენშევიკების, ყურადღებას არ აქცევდა სოფლის ამ მეტად გადაუდებელ და აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

5. კომუნისტურმა პარტიამ გადასწყვიტა საქმე დასძრას მკვდარ წერტილიდან, და იგი მოწოდებით მიმართავს მუშებს და წითელ არმიელებს დახმარების ხელი გაუწოდონ გლეხს, თავისი შრომით და ცოდნით მიეშველონ მას სოფლისათვის ეგზომ მნიშვნელოვან სამუშაოების განხორციელებაში.

6. სოფლისადმი დახმარების აღმოჩენა სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში წარმოადგენს, ამიტომ, მიმდინარე მომენტის ერთი ძირითად მიზანთაგანს.

7. უკანასკნელმა წლებმა გასწყვიტეს ის მჭიდრო ეკონომიური კავშირი ქალაქსა სოფელთან, ურომლისოდ არც ერთ სამეურნეო საქმიანობას არ შეუძლია არსებობა და ნორმალური მიმდინარეობა. თუ კი ქალაქის მუშა რომელიც საკმაო საზრდოს ვერ ღებულობს, ვერ აწარმოებს თავისი შრომის ნაყოფიერების აწევას და, ამგვარად, დანგრეულ მრეწველობის აღდგენას, გლეხიც ასევე საჭიროებს ლურსმანს, რკინას, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და სხვა. იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიაც ეხლა ჩვენ ვიმყოფებით, შეიძლება თავის დახწევა მხოლოდ ყველა მშრომელთა გაერთიანებული ღონისძიებით, ქალაქის და სოფლის მუშაობის სრული შეთანხმებით.

8. გლეხისადმი დახმარების კვირამ სოფელს უნდა დაანახვოს, რომ ქალაქს ესმის ის მჭიდრო კავშირი, რომელიც მუშასა და გლეხს შორის არსებობს. დაეხმარებიან რა სოფელს არა სიტყვით, არამედ საქმით, მუშები უჩვენებენ გლეხს, რომ საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს იმ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, რომელიც ზრუნავს მშრომელი ხალხის ინტერესებზე, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ქვეყანა სამეურნეო აღმშენებლობის ფართო გზაზე გამოიყვანოს.

9. მენშევიკები გაიძახოდნენ, რომ კომუნისტებს და კერძოთ წითელ არმიას საქართველოს გლეხისათვის მონობა და განადგურება მოაქვთ. გლეხისადმი დახმარების კვირა, რომლის დროს მუშა, წითელ არმიელი და გლეხი მხარდამხარ ერთად დაძმურად იმუშავებენ მთელ რიგ სასარგებლო სამუშაოთა გასაკეთებლად, რომელნიც სოფლის კეთილდღეობას ასწევენ; როდესაც დახელოვნებული მუშები სოფლებში მივლენ მოძრავი სახელოსნოებით და შეაკეთებენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს,—ეს კვირა გლეხს დაანახვებს, თუ ვინ არის არა სიტყვით, არამედ საქმით მისი მოკავშირე და ამხანაგი, ვისი ხელისუფლებაა ნამდვილი მათი ხელისუფლება, რომელსაც მშრომელთა გასაჭირისადმი გული შესტკივა და ყოველ ღონისძიებას ხმარობს მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს კ. პ. ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

კახეთის რკინის გზა

კახეთის რკინის გზაზე სამგზავრო მატარებლების მოძრაობის დროებით შეჩერებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო მსხვილ და წვრილ სპეკულიანტებთან ერთად ზოგი პატიოსანი მოქალაქე და მშრომელი გლეხიც.

ეს გარემოება გათვალისწინებული ჰქონდა რკინის გზის სამმართველოს და საბჭოთა მთავრობას, როცა სამგზავრო მატარებლების დროებით მოშლა გადაწყვიტეს. ამ გადაწყვეტილებას პატივსადები მიზეზი და გასამართლებელი საბუთი ედვა საფუძვლად.

თითქმის არავინ იცის, თუ რა უხეიროთ, ტეხნიკური წესების დარღვევით ყოფილა აგებული კახეთის რკინის გზა თავადაზნაურობის თაოსნობით. ოღონდ სწრაფად დაესრათ კახეთი რკინის გზის ხაზით და გარდუვალ, სავალდებულო წესების შესრულებას არ გამოკიდებიან. რკინის გზის ხაზი გადის სახიფათო ადგილებზე, წვიმა და ნიაღვარი წალეკვით უქმდის მუდამ ლიანდაგს, რელსები, ნიადაგის თვისების გამო, ცილდებიან კალაპოტს და მატარებლის გადავარდნაც ადვილი და ხშირია.

შპალები არ გამოუცვლიათ მთელი წლების განმავლობაში, ისინი დამპალია. რკინისგზების სამმართველო ჯერ კიდევ მარტში იყო მომხრე კახეთის რკინისგზის შტოზე მოძრაობის შეწყვეტის, სანამ სათანადო რემონტი არ გაუკეთდებოდა ხაზს. მაგრამ საქ. რევკომი ამაზე არ თანხმდებოდა აქამდის. დღეს კი მოძრაობის შეჩერება აუცილებელი შეიქნა, რაკი მგზავრთა ბედი სახიფათო მდგომარეობაში იქნება, თუ გზა არ შეკეთდა, საშუალო რემონტი არ გაუკეთდა. სწორედ ამ მოსაზრებით იქნა შეჩერებული მოძრაობა ნაწილობრივ; ვინაიდან სანურსათო და სამხედრო კომისარიატების ტვირთეულობის დენა კახეთიდან არ შეწყდარა რკინისგზაზე, აგრეთვე განაგრძობენ მოძრაობას მუშათა მატარებელი ვაგონები, მუშებისვე თავდარიგით და ყურისგდებით.

გზა დახურულია მხოლოდ კერძო მგზავრთათვის. მორიგი საკითხია შპალების საკმაო რაოდენობის დაგროვება, რათა ორი დამპალი შპალიდან ერთი მაინც შეცვლილ იქნეს ახალით. ეს საკითხი კი არც ისე ადვილი გადასაჭრელია. რკინისგზის სამმართველოს განკარგულებაში არის რამდენიმე ათეული ათასი შპალი, მაგრამ ეს რაოდენობა მთავარი მაგისტრალისთვისაა მომარაგებული, შტოების საჭიროებისათვის კი ცალკე უნდა იქნეს დამზადებული.

რკინისგზის სატყეო განყოფილება, სახალხო მეურნეობის საბჭოს სატყეო კომიტეტი და ნაწილობრივ მიწათმოქმედების კომისარიატი — აი ის უწყებები, რომლებმაც სასწრაფოთ უნდა მიიჩნიონ ეს საქმე და შპალის საკითხი მოკლე ხანში უნდა გადაჭრან, თუ მათ შორის არ იქნა თანხმობა, თუ მათ არ შეუთანხმეს ერთიმეორეს თავიანთი გეგმები, შპალის საკითხი გადუჭრელი დარჩება. რკინისგზის სამმართველომ გადაწყვიტა კახეთის რკინის გზის სავსებით ამოძრავება, რისთვისაც ის ამ დღეებში მიიღებს აზერბეიჯანიდან 5,000 შპალს, იმ იმედით, რომ ოქტომბერში საქართველოს სატყეო ორგანოები მიაწვდიან მას შეკვეთილ რაოდენობას შპალებისას, რათა მთავარი მაგისტრალი უზრუნველყოფილი დარჩეს.

პირველ რიგში კახეთის მოსახლეობა დაინტერესებული კახეთის რკინის გზის სავსებით ამოძრავებაში. მანვე უნდა გამოიჩინოს საქმით თანაგრძნობა ამ საქმისადმი, მან თავს უნდა იდვას ყოველმხრივი დახმარება იმ ორგანოების, რომლებიც ადგილობრივ ამზადებენ შპალებს. თუ ამ ორგანოებს დროზე არ ამოუჩნდათ გადასაზიდი საშუალება და ტყეში დამზადებული მასალა რკინისგზის ხაზამდის დროზე არ იქნა მიტანილი, სამმართველოს გადაწყვეტილება არ გატარდება ცხოვრებაში. ამიტომ კახეთის რევკომების მოვალეობაა ფართოთ გააცნონ ხალხს კახეთის რკინის გზაზე შექმნილი ვითარება და მიუთითონ მოვალეობაზე.

საით მიდიან?

ჩვენი წინაგრძნობა, ჩვენი საუკეთესო მეთაურების და ხელმძღვანელების წინასწარმეტყველება მართლდება. დაუძინებელი მტრები მუშათა კლასისა, დამარცხებულნი სამი წლის განუწყვეტელ სამოქალაქო ომში. საფრანგეთის იმპერიალისტები, პოლონეთის და რუმინიის მემამულეები და კაპიტალისტები რუსეთის თეთრგვარდიელებთან ერთათ, სარგებლობენ რა რუსეთის გლეხების და მუშების უზომო გაჭირვებით, ემზადებიან ხაზე თავდასასხმელათ. ეს დღეს უკვე არავისთვის საიდუმლო აღარაა, პოლონეთის მემამულეების და კაპიტალისტების მთავრობამ, როგორც ჩვენ უკვე გვამცნო რადიომ, საფრანგეთის იმპერიალისტების და კაპიტალისტების მიწოლილობით, წარუდგინა რუსეთის საბჭოთა მთავრობას ულტიმატუმი, რომ თუ ეს უკანასკნელი არ შეასრულებს პოლონეთის მიმართ რიგაში დადებული ხელშეკრულებას ფულის გადახდის თაობაზე, პოლონეთის მთავრობა გაიწვევს უკან რუსეთიდან თავის ელჩს. ეს ულტიმატუმი, რა თქმა უნდა, გვიძლევს უფლის ამავე ხელშეკრულების დავალებების შესრულებას თვით პოლონეთის მხრით საბჭოთა რუსეთის მიმართ, მაგ., სავინკოვის ბრბოების გაძევების შესახებ პოლონეთის ტერიტორიიდან, იმ ბრბოების, რომლებიც აწყობენ საბჭოთა რესპუბლიკებზე შეუწყვეტელ თავდასხმებს.

მთელმა ქვეყანამ იცის, რომ საბჭოთა რუსეთის გამოუთქმელი გვალვას მეოხებით დიდი გასაჭირი დაატყდა თავს: თერთმეტი პურის გუბერნია, რომლებიც თითქმის მთელი რუსეთის ნახევარს თუ არა ერთი მესამედს კვებავდა პურით, გვალვის გამო სულ ერთიანათ გადაიწვა, და რამდენიმე ათეული მილიონი გლეხკაცობა უღუკმა-პუროთ დარჩა. ამოდენა მილიონი ხალხი უნდა სიმშილისაგან გაწყდეს თუ არ იქნა მოწყობილი ფართო დახმარება სურსათით, წამლით, ტანსაცმელით და სხვ. საბჭოთა მთავრობა უკვე შეუდგა ამ დახმარების მოწყობას და მთელმა ქვეყანამ იცის, თუ რა გმირულ ზომებს ხმარობს რუსეთის დღევანდელი მთავრობა, რომ რამდენათაც შესაძლებელია შეუმსუბუქოს ხალხს ის ახალი უბედურება, რომელიც მას თავს დაატყდა წლევანდელი მოუსავლობის გამო. საბჭოთა მთავრობა არა თუ არ მალავს, არა თუ არ ამცირებს მთელ წილ უბედურებას, რომელშიაც დიდი წილი უძევს მსოფლიო იმპერიალიზმს, არამედ ის გულახდილათ მიმართავს ყველა ხალხთ, განსაკუთრებით ყველა ქვეყნის მუშებს და გლეხებს და მოუწოდებს მათ დამშეულ მუშების, გლეხების, ბავშვების, დედაკაცების და მოხუცების დასახმარებლათ და სიკვდილისაგან დასახსნელათ.

და უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მთავრობის მხურვალე მოწოდება არ დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. პროლეტარული ხელები ყველა ქვეყნიდან გაშვერილია ნამდვილი რეალური დახმარების აღმოსაჩენათ დამშეულთათვის. მეტია ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ ეკიდებიან დამშეულთა დახმარების საქმეს თვით რუსეთის მუშები და გლეხები, რომლებიც თითონ სიმშილს და სიცივეს განიცდიან აგერ მეოთხე წელიწადია: თვით დამშეულები, ისინი აგროვებენ დიდძალ სურსათს და გზავნიან დაზარალებულ გუბერნიებში, აწყობენ სასადილოებს, ბავშვებისთვის თავშესაფარებს, მართავენ საავადმყოფოებს და სხვ. მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ასეთი დახმარება მზადდება და მოდის საზღვარგარეთელი მუშებიდანაც: გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის ავსტრიის, ამერიკის. მუშები აგროვებენ თავიანთ წვლილს, თუ ფულით, თუ ნატურით და გზავნიან რუსეთში, და ყველა ჩვენგანი გრძნობს, რომ ეს დახმარება სრულებით ბუნებრივია, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო.

მაგრამ ამავე დროს ბურჟუაზიის ბანაკშიაც დაიწყო ჩოჩქოლი, ატყდა ხმაურობა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ იმ დიდი უბედურების პირისპირ, რომელიც რუსეთის გლეხკაცობას დაატყდა, რა თვალთმაქცობა და ფარისევლობა! განა ეს ვაჟბატონები ფიქრობდნენ რუსეთის გლეხების დახმარებაზე. ასეთი ფიქრი ყოვლად დაუშვებელი გულუბრყვილობა იქნებოდა. ამ გაუმაძღარ სვავების მთელი აზრი და ფიქრი იქით იყო და არის მიმართული, რომ ისარგებლონ ამ გაჭირვებული დროით, აუტეხონ საბჭოთა რესპუბლიკებს ომი და დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება. ესაა წადილი აგრეთვე რუსეთის ყველა კონტრ-რევოლუციონერებისა. ყველა ეს ჯგუფები კარგათ მუშაობენ; სავინკოვები არ სცხრებიან ისინი უკვე ახორციელებენ თავის პროგრამას. ამას მოწმობს ყოველ შემთხვევაში პოლონეთის ბურჟუაზიის მიერ წარდგენილი ულტიმატუმი საბჭოთა მთავრობის მიმართ.

მაგრამ საფრანგეთის იმპერიალისტებს და რუსეთის თეთრგვარდიელებს არც საქართველოს სოციალ-დემოკრატები, ე. ი. სოციალ გამცემლები ჩამოუვარდებიან. ამას მოწმობს სხვათაშორის ბ. ბ. ნ. ჟორდანიას და კ. ჩხეიძის მიერ გამოცემული მოწოდება „ევროპის საზოგადოების" მიმართ, რომელიც ამ დღეებში იყო მოთავსებული ჩვენ გაზეთში, როგორც ჩანს, ამ ვაჟბატონებს არც არაფერი დაუვიწყნიათ და არც არაფერი უსწავლიათ. ბ.ბ. ჟორდანიების და ჩხეიძეების „მოწოდება" პოლონეთის თეთრგვარდიელ მთავრობის ულტიმატუმს წააგავს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ პოლონეთის ბურჟუაზია და მემამულეები ფიქრობენ კიდევ დაეყრდნონ რაიმე რეალურ ძალას, ჟორდანიები და ჩხეიძეები ამაზე ოცნებაც კი არ შეუძლიათ და ამიტომ ისინი მიმართავენ და შესჩივიან „ევროპის საზოგადოებრივ აზრს".

ვინაა ეს „საზოგადოებრივი აზრი"? ესაა ევროპის და განსაკუთრებით საფრანგეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია და ევროპის ბურჟუაზიული მთავრობები. აი ვის აბარებენ თავს ეს ვაჟბატონები, აი ვის წინაშე იკატუნებენ თავს ეს ევროპის კაპიტალისტების და მემამულეების მიერ დაქირავებული აგენტები და ლაქიები. ყოვლად უსაგვანი და უტიფარი ჭორების და ინსინუაციების მეოხებით საბჭოთა რესპუბლიკების და განსაკუთრებით საბჭოთა საქართველოს მიმართ, ეს მშრომელი ხალხის მოღალატენი და გამყიდველები ფიქრობენ ფონს გასვლას, ფიქრობენ საბჭოთა წესწყობილების დამხობას და საფრანგეთის, ინგლისის იმპერიალისტური ჯარებით საქართველოში შემოსვლას და აქ კვლავ მოკალათებას ევროპის სისხლის მწოველი იმპერიალისტების გასაბატონებლათ.

საფრანგეთის კონტრ რევოლუციონური ბურჟუაზიამ, პოლონეთის პანებმა და რუმინიის ბოიარებმა (მემამულეებმა) ერთი მხრით და საქართველოს ყოფილი სოციალ-დემოკრატებმა და სხ. იმპერიალისტების [illegible] აგენტებმა მეორე მხრით შეარჩიეს თავის შავ და ბნელ განზრახვათა შესასრულებლათ საუკეთესო დრო, როცა საბჭოთა რესპუბლიკები განიცდიან უზომო გაჭირვებას და ფიქრობენ ძალზე თავდასხმას და ხელახლა მუშების და გლეხების სისხლის მორევის დაყენებას. მაგრამ შორს ჩვენგან თქვენი გასისხლიანებული ხელებ!

მთელმა ქვეყნიერებამ იცის, რომ საბჭოთა რესპუბლიკებს არასოდეს არ სურდათ და მით უმეტეს არც ახლა სურთ ვისიმეთვის ომის გამოცხადება; ისინი გამსჭვალული იყვნენ და არიან მხოლოდ ერთი ფიქრით, ერთი აზრით, რომ რაც შეიძლება ჩქარა ბოლო მოუღონ ხალხის გაჭირვებას, მის სიღატაკეს, სიმშილს, სიცივეს, ავათმყოფობას. ვისაც თვალები განგებ დაბრმავებული არა აქვს, მსგავსათ ქართველ მენშევიკების ბელადებისა, იმას არ შეუძლია ყოველივე ეს არ დაინახოს. ვინ ვერ ხედავს, რომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელი მასსის ყურადღება მიპყრობილია ამ ჟამათ განსაკუთრებით შრომის ფრონტზე, განსაკუთრებით მილიონ დამშეულთა სიკვდილისაგან დასახსნელათ. მაგრამ თუ წახდა საქმე, თუ გასჭრა თეთრ-გვარდიელების და მენშევიკების ვერაგობამ და მზაკვრობამ და საბჭოთა ძმურ რესპუბლიკებს ხელახლა დაატეხეს თავს სისხლიანი ომი, ამ უსაზღვრო ავაზაკებმა და იუდა გამცემლებმა დღე იცოდნენ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასსები, მუშები და გლეხები, როგორც ერთი კაცი, ისე ყველანი ფეხზე დადგებიან და ვერაგ მტრებს შესაფერ და ღირსეულ პასუხს გასცემენ. იმათი პასუხი იქნება ისეთი, როგორიც გამოიტანა მოსკოვის საბჭომ ამხ. ტროცკის მოხსენების პოლონეთის ახალი ულტიმატუმის გამო. იქ ჩვენ, სხვათა შორის ვკითხულობთ: „მოსკოვის საბჭო აცხადებს, რომ ყოველგვარი თავდასხმა საბჭოთა რუსეთზე, მშრომელი მასსების მხრით გამოიწვევენ გამანადგურებელ წინააღმდეგობას, რომ რუსეთის პროლეტარიატი და გლეხკაცობა, იძულებულნი იქნებიან გასცენ პასუხი თავდასხმაზე, საიდანაც ეს არ უნდა იყოს, მოიპოვებენ თავის არსებაში ძალას მოსპონ თავისი მტრები, როგორც ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში სპობდნენ იმათ" ეს არაა უბრალო მუქარა, ეს არაა მარტო სიტყვები.

მაგრამ რის იმედი აქვთ ევროპის და რუსეთის თეთრგვარდიელებს, სავინკოვებს, პეტლიურებს, ჟორდანიებს, ჩხეიძეებს ჩხენკელებს? ევროპა ხომ დღეს თოფისწამლის საწყობს წარმოადგენს, საკმარისია იქ ერთი ნაპერწკალის გადაგდება რომ მან იფეთქოს. თუ 1914 წლის იმპერიალისტურმა ომმა გამოიწვია რუსეთის დიდი პროლეტარული რევოლუცია, ახალი იმპერიალისტური ომი 1921 წლის დასასრულს დაიწყებს ევროპა და ამერიკაში მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციის ცეცხლს. ევროპის კაპიტალისტები და მემამულეები, პოლონეთის პანები და რუმინიის პომეშჩიკები სავინკოვებთან, პეტლიურებთან, ჩხეიძეებთან, ჟორდანიებთან და სხვებთან ერთათ ვერაგულათ სამარეს უთხრიან საბჭოთა რესპუბლიკებს. მაგრამ ისინი მიაღწევენ სულ წინააღმდეგ შედეგს: ამ სამარეში უმალ თითონ მოყვებიან.

აი საითკენ მიისწრაფიან ეს ვაჟბატონები თავდაყირა, უფსკრულისაკენ! იმათი გზაც სწორედ იქითკენ არის.

ფ. მახარაძე

კომინტერნის მესამე კონგრესი

3 ივლისის სხდომა.

სხდომა იხსნება ნაშუადღევის 2 საათზე. დღის წესრიგში არის მოხსენება მე 3 ინტერნაციონალისა და საერთაშორისო პროფკავშირთა საბჭოს შორის ურთიერთობისა და ამსტერდამთან ბრძოლის შესახებ. მომხსენებლად გამოდის ამხანაგი ზინოვიევი.

— ამხანაგებო, უკვე კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესმა, ამბობს ამხ. ზინოვიევი, თეორიულად დაასაბუთა თავისი დამოკიდებულება პროფესიონალურ მოძრაობასთან. და ამიტომ ამ ჟამად არ არის საჭირო შეჩერდეთ თეორიულ დებულებებზე. ერთი წლის ბრძოლამ სავსებით გაამართლა ჩვენი წინანდელი შეხედულება. ის ფაქტი, რომ წარსული წლის განმავლობაში ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, ამერიკაში პროფკავშირთა ბიუროკრატია შეუდგა პროფკავშირთა შემადგენლობიდან კომუნისტების გამორიცხვას, საკმაოდ ცხადად ამტკიცებს ჩვენი პოზიციის სიმართლეს. ეხლა ჩვენი ამოცანა არის არა თეორიული დებულებების ძიებანი, არამედ ჩვენი ბრძოლის კოორდინაცია და ორგანიზაცია ყვითელ ინტერნაციონალთან საბრძოლველად და კომუნისტური ინტერნაციონალისა და რევოლუციონურ პროფკავშირებს შორის ურთიერთობის გარკვევა.

ამსტერდამის ინტერნაციონალის მთელი მოქმედება ამტკიცებს, რომ ეს დაწესებულება სავსებით ბურჟუაზიულია—ამ დებულებას ბევრი უარყოფდა; ამბობდნენ, რომ ჩვენ ვაჭარბებთ. მაგალითად ჰალლეს ყრილობაზე ეჭვის თვალით შეხედეს აღმასრულებელი კომიტეტის მტკიცებას იმის შესახებ, რომ პროფკავშირთა ყვითელი ინტერნაციონალი ორგზე უფრო საშიშოა. ჩვენ აქ სავსებით უნდა გავიმეოროთ, რომ ეს არ არის გადაჭარბება, არ არის პოლემიკური საშუალება, არამედ ეს არის ვითარების ფაქტიური მდგომარეობის გამოაღნიშვნა. ამსტერდამის ინტერნაციონალი არის სათამაშო იარაღი ბურჟუაზიის ხელში, ეს პროფესიონალურ ბიუროკრატიის და ბურჟუაზიის ურთიერთ დახმარებით შექმნილი პროდუქტია, ეს არის ახალი კაპიტალიზმის ბასტიონი, მისი სიმაგრე.

კონკრეტული მაგალითები: ინტერნაციონალის თავმჯდომარე ალბერტ ტომა თავის სტატიაში, რომელიც იყო მოთავსებული „რევიუ ინტერნაციონალ"-ში,—ცდილობს დაამტკიცოს, რომ ბურჟუაზიული მთავრობები ამის შემდეგ მოსალოდნელი ქარიშხალისა და ბოლშევიზმის გავრცელების შიშის გამო, ცდილობენ, თავის მხრით, მოაწესრიგონ მუშათა კლასის მოძრაობა.

ჟუო, რომელიც არის ამსტერდამის ინტერნაციონალის ერთი ხელმძღვანელთაგანი, გამოდიოდა გამარჯვებულ სახელმწიფოთა კონფერენციაზე ვერსალში, როგორც საფრანგეთის მინისტრის ლუშერის ტეხნიკური მრჩეველი. მოგაგონებთ ფიმენის ცნობას ჰუნგრეთის ბოიკოტზე. იმან სიტყვა სიტყვით სთქვა: „მთავრობის წარმომადგენელ ხორტისთან მოლაპარაკების შემდეგ, მე მივედი იმ დასკვნამდი, რომ ჰუნგრეთში გამეფებული ტერორი სრულებით არ არის მთავრობის მიერ მოწყობილი, არამედ არსებობს იმათ სურვილის წინააღმდეგო. ხორტის საცოდავი, რბილი მთავრობა,—ამბობს ამხ. ზინოვიევი,—ვერაფერს აწყობს მათთან, ტომამ მილიერანს შეხვედრის დროს განუცხადა რომ შრომის ბიუროში შედიან მუშათა კლასის და კეთილმოაზროვნე ბურჟუაზიის წარმომადგენელნი კრიზისის დაძლევის მიზნით.

უდეგესტმა უწოდა წარსული წლის სექტემბრის ამბოხებას იტალიაში ჩვეულებრივია წმინდა პროფესიონალური მოძრაობა. ამას უნდა შევადაროთ მსგავსი ხასიათის განცხადება, რომელიც სერატიმ და დარაგონამ გააკეთა. დარაგონამ განუცხადა უდეგესტს, რომ იტალიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო, მიუხედავათ იტალიის სოციალისტური პარტიის მერყეობისა დარჩება ამსტერდამის ინტერნაციონალის ერთგული. რამდენათ გამართლდა დარაგონის ეს წინასწარმეტყველობა, ამას ამოწმებს გუშინ საერთაშორისო პროფკავშირთა პრეზიდიუმის მიერ მიღებული დეპეშა იტალიის ცენტრალურ კომიტეტისაგან, სადაც აღნიშნულია, რომ წითელ პროფკავშირთა დამფუძნებელ კონგრესზე გამოგზავნილია იტალიის დელეგატები ბიანკი და ბოოპი. ინგლისურ გაზეთ „მანჩესტერ გარდიანში" ამსტერდამის ინტერნაციონალის ყოფილ თავმჯდომარეებ აპლტონმა ამ გვარად დაახასიათა ამსტერდამის პროგრამა: საჭიროა დამყარდეს,—სწერდა იგი,—უფრო სალი ურთიერთობანი მუშებსა და მეწარმოებელთა შორის. ჩვენთვის ბევრი სიძნელე გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენ საკმაოდ მკაფიოდ არა გვაქვს წარმოდგენილი მრეწველთა თვალსაზრისიო.

ასეთია ამ ორგანიზაციის სახე, და გადაჭარბება არ არის იმის თქმა, რომ ის არის ინტერნაციონალურ ბურჟუაზიის უკანასკნელი დასაყრდენობი.

რას წარმოადგენს თავის თავად ამსტერდამის ინტერნაციონალი? ინგლისში ნახშირის მთხრელთა გაფიცვის დროს ტომასი გამოდის გამცემლის როლში. როცა გერმანიაში სისხლი უნდა გამოეშვათ მუშებისათვის სცენაზე გამოდის გერზინგი ამსტერდამის ინტერნაციონალის ძველი მონაწილე. იმავ სურათს ვხედავთ საფრანგეთშიც, სადაც მოქმედობენ ჟუო და დიუმულენი. საერთაშორისო ბურჟუაზიის შეტევა ეკონომიურ და პოლიტიკურ ფრონტზე მუშათა კლასის წინააღმდეგ წარმოობს ამსტერდამის ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით. ეს, რასაკვირველია სამწუხარო მუშათა კლასისათვის, მაგრამ ამას უნდა ანგარიში გაეწიოს, საჭიროა ამის დანახვა. არ არის მართალი, როგორც ბევრი ფიქრობს, რომ ამსტერდამთან ბრძოლა არის უბრალო ფრაქციული პროფესიონალურ მოძრაობის შიგნით. ეს არის კლასობრივი ბრძოლა. მართალია ამსტერდამის ინტერნაციონალი აშენებულია პროლეტარულ ორგანიზაციების მსგავსად. მაგრამ შეუძლებელია სტრუქტურის მიხედვით ვიმსჯელოთ ორგანიზაციის შინაგან შინაარსზე. ხომ არიან ქრისტიანული და ლიბერალური პროფკავშირები, რომლებშიდაც მუშები შედიან. ეს კლასთა ბრძოლა მით უფრო რთული, ჩახლართული და მძიმეა, რომ ის აწარმოებს პროფესიონალურ მოძრაობის ნიადაგზე. მაგრამ თუ ჩვენ ამ ბრძოლაში გავიმარჯვებთ, თუ ჩვენ დავანგრევთ მსოფლიო ბურჟუაზიის ამ უკანასკნელ ბასტიონს, ჩვენი სიძნელეთა ცხრა მეათედი იქნება დაძლეული ამსტერდამი არის ომის შემდგომ გარდამავალ ხასის ახალი ნაყოფი ეს არის მსოფლიო რევოლუციის კვანძი და ჩვენთვის არ არის მთელ პროლეტარულ მოძრაობაში უფრო მნიშვნელოვანი პრაქტიკული ამოცანა, ვიდრე პროლეტარიატის წინაშე ამსტერდამის სახის გამოაშკარავება.

წარსულ წლის განმავლობაში ჩვენ დაგვეტყო წინმსვლელობა პროფესიონალურ საერთაშორისო მოძრაობაში. პროფკავშირთა წითელ ინტერნაციონალის მდივანმა გადმოგვცა მე, რომ საერთაშორისო პროფკავშირი დაახლოვებით აერთებს 16,380,000 წევრს. რასაკვირველია, ეს ციფრი მნიშვნელოვანია, მაგრამ ძლიერ არ უნდა გაზვიადდეს იგი. არის ქვეყნებში, სადაც ჩვენი კომუნისტური პარტიები კიდევ ვერ ჩაუდგნენ სათავეში პროფესიონალურ მოძრაობას, კიდევ ვერ შეიგნეს პროფკავშირებში მუშაობის უდიდესი მნიშვნელობა. არის სხვა ქვეყნებიც, როგორც მაგალითად ისპანია, სადაც ძლიერ განვითარებულ რევოლუციონურ პროლეტარიატთან ერთად ჩვენ ვხედავთ ძლიერ მრავალრიცხოვან სინდიკალისტურ ორგანიზაციებს, მაგრამ კომუნისტურმა პარტიებმა ვერ შესძლეს ამ რევოლუციონურ ელემენტის თავის რიგებში მიზიდვა. არის აგრეთვე ისეთი ქვეყნებიც, სადაც მდგომარეობა ამ მხრივ უფრო გართულებულია. ასე, მაგალითად, იტალიის შრომის კონფედერაციაში შედის 2—3 მილიონი მუშა, რომელთაც ხელმძღვანელობენ რეფორმისტები. შვეციაში ყოფილი კომუნისტური პარტია გარდაიქმნა კომუნისტურად, მაგრამ პროფკავშირთა ხელმძღვანელობა დარჩა ბელადთა ხელში, რომელნიც თუმცა შედიან კომინტერნში, მაგრამ მაინც ამსტერდამისაკენ აქვთ მიდრეკილება. პროფკავშირთა წითელ ინტერნაციონალში შემოვიდნენ სინდიკალისტური ელემენტები. ომამდის და ომის ხანაში იმათმა ისეთივე კრიზისი განიცადეს, როგორც სოციალისტურმა პარტიებმა. ამ ევოლუციის შედეგად მივიღეთ სინდიკალიზმის სამი სახე. პირველი არის გარკვეულად რეფორმისტული, რომლის წარმომადგენელი არის ჟუო. იმან იგივე იგივე გაკოტრება, როგორიც სოციალ-დემოკრატიამ. იმის იდეური ხელმძღვანელნი იმყოფებიან ამსტერდამში. მეორე სახე ყველაზე უფრო ნათლათ არის გამოსახული გერმანიის და შვეციის სინდიკალიზმში. იგი გერმანიაში წარმოადგენს უმნიშვნელო პროფკავშირებს, რომელნიც თუმცა არ შედიან ამსტერდამის ინტერნაციონალში, მაგრამ მაინც ატარებენ ჩვეულებრივ შეიდემანის ხაზს თავის ცენტრალურ ორგანო „სინდიკალიზმში". შვედელი სინდიკალისტები ტიპიური ცენტრისტებია, რომელნიც ქანაობენ ჟუოსა და წითელ ინტერნაციონალს შორის: ერთი ფეხი იმათ მოსკოვში აქვთ, მეორე ამსტერდამში. მესამე სახის სინდიკალისტები განსაკუთრებით გარკვეულად ჩამოყალიბებულნი არიან საფრანგეთში; ისინი ჩვენი მეგობრებია, ნამდვილი რევოლუციონერები.

როგორი უნდა იყოს ურთიერთობანი ამ სინდიკატებსა და 3 ინტერნაციონალის შორის. ეს არის დიდი თეორიული და პრაქტიკული საკითხი, რომელიც ჩვენ აქ უნდა გადავსჭრათ.

აქ იბადება საკითხები: პარტიაზე, პროფკავშირთა ნეიტრალიტეტზე, პოლიტიკურ ბრძოლის მნიშვნელობაზე. საფრანგეთის სინდიკალისტებს ყოველდღიურ ხმარებაში აქვთ ეხლა სიტყვა „შარ დამიენ"—ამიენის ხარტია. საქმის ვითარება შემდეგშია: 1906 წელს ამიენში მიღებულ იქნა. გრიფუელის რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა პროფკავშირებისაგან პოლიტიკურ საკითხებში სასტიკ ნეიტრალიტეტს. ის სცნობდა პროფკავშირის წევრისადმი ყოველ პოლიტიკურ პარტიაში მონაწილეობის უფლებას, აგრეთვე სცნობდა პოლიტიკურ გამოსვლებში მონაწილეობის მიღების უფლებას, მაგრამ კავშირის გარეშე. ეს იყო 1906 წელს, ჯერ კიდევ 2 ინტერნაციონალის გაკოტრებამდის, და ეხლა, მას შემდეგ, რაც მუშათა კლასმა განიცადა ომამდის და ომის შემდეგ, როცა უკვე არსებობს 3 ინტერნაციონალი, პროფკავშირების ძველი ბიუროკრატები განაგრძობენ ძველი ამიენის „ურმით" ტიხინს. 12 წლის წინედ კაუტსკი, რომელიც მაშინ კიდევ იყო მარქსისტი, ამტკიცებდა, პროფკავშირების ნეიტრალიზმი შეუძლებელია მარტო იმიტომ, რომ ის ყოვლად განუხორციელებელია, ამის [illegible] რომ ვიყვეთ. მაგალითად, როცა საფრანგეთში 19 წლის მობილიზაცია ტარდებოდა, შეეძლოთ პროფკავშირებს სრულებით არ მიექციათ ყურადღება ამისათვის? და თუ არა, ეს ხომ პოლიტიკური საკითხია. განა მემადნეოთა გაფიცვა ინგლისში წარმოადგენს მარტო ეკონომიურ საკითხს? თავის თავად ნეიტრალიზმი ფანტაზიაა. ნეიტრალიზმის იდეას მოხერხებულად ხმარობს ბურჟუაზია თავის ინტერესების სასარგებლოდ. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზია ამყარებს თავის ბატონობას არა მარტო მახვილზე, არამედ სიყალბეზედაც. ბურჟუაზიას არ შეუძლია უთხრას მუშას: შემოდი ჩემს პარტიაში, მუშა იქ არ შევა. ამის ნაცვლად იგი ეუბნება მუშას: „პოლიტიკას თავი დაანებე, პოლიტიკა არ არის შენი საქმე, მოჰკიდე ხელი ეკონომიურ საკითხებს. ეს გახრწნილი, გასპეტაკებული ბურჟუაზიული იდეაა. ამგვარად პროფკავშირი, რარიგ უნდა იყოს ის რევოლუციონურად გაწყობილი, ობიექტიურად იქცევა კონტრ-რევოლუციონურად, როდესაც ის აღიარებს პოლიტიკურ ნეიტრალიზმს. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ყველა პოლიტიკური პარტიები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: 1) ბურჟუაზიული, 2) წვრილბურჟუაზიული და 3) პროლეტარული, კომუნისტური და თუ ბურჟუაზია მოითხოვს, რომ პროფკავშირები ნეიტრალურნი იყოს, ასეთი ნეიტრალობა იქნება მხოლოდ პირველი ჯგუფის სასარგებლო. აი რატომ იყო, რომ მეორე ინტერნაციონალი ბურჟუაზიას ყოველთვის ასე უყვარდა.

ჩვენი კონგრესის წინაშე არის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ურთიერთობანი პარტიასა და პროფკავშირებს შორის, მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალსა და პროფკავშირების წითელ ინტერნაციონალს შორის? აი, მაგალითად, როგორც საფრანგეთის „იუმანიტე"-ში ეხლა სწარმოებს კამათი ამ საკითხის შესახებ. კამათობენ იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ეხლა პროფკავშირების დაქვემდებარება პარტიისადმი. ეს იმას ამტკიცებს, რომ საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას არ აქვს საკმაოდ ნათელი წარმოდგენა თავის ამოცანების შესახებ პროფკავშირებში. ჩვენ, რუსეთის კომუნისტები, 15 წლის განმავლობაში ვიბრძოდით პროფკავშირებში გავლენის მოსაპოვებლად. ჩვენ მოვითხოვდით თვითეულ პარტიის წევრისაგან, რომელიც პროფკავშირში შედიოდა, ყოველდღიურ მონაწილეობას არა მარტო დიდ გაფიცვებში, არამედ უმნიშვნელო ორგანიზაციულ მუშაობაშიდაც. აქ ლაპარაკია არა მექანიკურ დამორჩილებაზე, არამედ უმრავლესობის მიმხრობაზე იმ მიზნით, რომ პარტიამ მოიპოვოს სრული გავლენა პროფკავშირებში. ჩვენ არა ვართ პროფკავშირების ერთგვარი ავტონომიის წინააღმდეგნი. რასაკვირველია, ეს ავტონომია არ უნდა გავიგოთ პროფკავშირების პარტიისადმი დაპირდაპირებად, როგორც ამას ოპორტუნისტები შვრებიან. პარტია არ უნდა ჩაერიოს პროფკავშირების ყოველდღიურ წვრილმან საქმეებში, მხოლოდ უნდა გაატაროს საერთო ხაზი.

პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალი შექმნილია კომინტერნის ინიციატივით, მაგრამ ის იმყოფება მხოლოდ ორგანიზაციის ხანაში. ჩვენ იდეალურად მიგვაჩნია ამ ორივე ორგანიზაციის მთლიანი და სრული ერთობა. მაგრამ ჯერჯერობით, საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობის აჭრელებულ ხასიათის გამო, ორივე ორგანიზაციის შორის უნდა იყოს ერთგვარი განსხვავება. კომუნისტური ინტერნაციონალი არის რამდენიმე ორგანიზაციის არა უბრალო ჯამი, არამედ ორგანიული, მთლიანი რევოლუციონურ მოძრაობის თავი. ამიტომ ჩვენ ვძლევთ პროფკავშირების წითელ ინტერნაციონალს განსაზღვრულ ორგანიზაციულ ავტონომიას, საერთო, პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ვტოვებთ კომინტერნის ხელში. ერთმანეთში წარმომადგენლობის წარგზავნის საშუალებით ორივე ორგანიზაცია იქერს ურთიერთშორის განუწყვეტელ კავშირს, ეხმარება ერთმანეთს, აწარმოებს საერთო მუშაობას.

ყოველმა კომუნისტმა უნდა ჩაიგონოს თავის თავს, რომ ეს საკითხები არიან საერთაშორისო რევოლუციონურ მოძრაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. თუ ჩვენ შევძლებით ამსტერდამის ინტერნაციონალისაგან საბოლოოდ ნიღაბის ჩამოგლეჯა, პროფესიონალურ ბიუროკრატიის ხელიდან მუშების გამოგლეჯა, თუ ჩვენ დავანგრევთ საერთაშორისო ბურჟუაზიის ამ უკანასკნელ დასაყრდენობს და აღვმართავთ იმის ნანგრევებზე კომუნიზმის წითელ დროშას, ჩვენ მივაღწევთ გამარჯვებას. ეს არის ჩვენი კონგრესის და წითელ პროფკავშირების დღეს შეკრებილ დამფუძნებელ კონგრესის ამოცანა.

ამხ. ჰეკერტი (გერმანია) გამოდის თანამოხსენებით პროფკავშირების პრაქტიკულ ამოცანების შესახებ.

ძველი პროფესიონალური კავშირები იცავდნენ თავის ამოცანათ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესობას კაპიტალისტურ საზოგადოების ფარგლებში სამუშაო ქირის აწევისათვის ბრძოლის, სამუშაო დღის შემოკლების, მუშათა ინსპექციის შემოღების, შრომის გიგიენურ პირობების დაცვის და სხვათა საშუალებით. მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ შეიძლებოდა ამ პატარა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაც ამის მიხედვით შეიქმნა ორი მისწრაფება პროფკავშირებში. ერთი ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება მშვიდობიანი საშუალებებით, მეორე კი ამის განხორციელების შესაძლებლად სთვლიდა რევოლუციონური ბრძოლის საშუალებით.

კაპიტალისტური მეურნეობა გამოვიდა მსოფლიო ომიდან ძირიანფესვიანად შერყეული, და ჩვენ ვიცით, რომ მისი სავსებით დაღუპვა მხოლოდ დროის საკითხია, მიუხედავად იმისა, მოინდომებს თუ არა მუშათა კლასი იმის ძალით ჩამოგდებას. რა უნდა გააკეთონ ეხლა პროფესიონალურმა კავშირებმა? ეხლა, როცა მისუსტებული კაპიტალიზმი ისვენებს, უნდა დაუცადოთ ჩვენ იმის მოღონიერებას, თუ უნდა გავაძლიეროთ რევოლუციონური მოძრაობა იმის დასამხობათ?

სოციალ-პატრიოტები ამბობენ, რომ სოციალიზმის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ საწარმოო ძალთა სრული განვითარების დროს და წინადადებას გვაძლევენ ვითანამშრომლოთ ბურჟუაზიასთან. ჩვენ, კომუნისტები, ვამბობთ: მუშათა კლასის კეთილდღეობას ადგილი არ ექნება კაპიტალიზმის არსებობის დროს. პროფკავშირები მხოლოდ მაშინ შეასრულებენ თავის ამოცანას, თუ ისინი მთელ თავის ძალას კაპიტალიზმის დასამხობად მიმართავენ. მაშასადამე იმათმა უნდა ისარგებლონ ბრძოლის ყველა მეთოდებით: გაფიცვებით, დემონსტრაციებით, აჯანყებებით და სხ.

კაპიტალიზმი გაერთიანდა ნაციონალურად და ინტერნაციონალურად ძლევამოსილ ტრესტებში. პროფკავშირების ორგანიზაციის თანამედროვე ფორმები არ შეეფერება თანამედროვე კაპიტალიზმის სტრუქტურას. ჩვენ უნდა შევქმნათ მუშების ცენტრალური გაერთიანებანი, რომელნიც აშენებულნი იქნებიან წარმოებითი პრინციპზე. ასე მოიქცა საბჭოთა რუსეთი და ამას უნდა მიბაძონ ყველა ქვეყნის მუშებმა, ვინაიდან გაერთიანების ეს ფორმა თანამედროვე მომენტისათვის ყველაზე უფრო შესაფერისია. კაპიტალის კონცენტრაციას მივყავართ ჩვენ პროფკავშირების ცენტრალიზმისაკენ, და ჩვენ უნდა ვცდილობდეთ ყოველგვარ ფედერალიზმის მოსპობას, ვინაიდან უკანასკნელი ნიშნავს პროფესიონალურ მოძრაობის სიკვდილს. ილიუსტრაციისათვის ჰეკერტს მოჰყავს ანტანტის და გერმანიის კაპიტალისტთა შეთანხმების ფაქტი და კითხულობს, როგორ შეუძლიათ ტრიესტის, პარიზის და ბარსელონის სინდიკალისტებს გაერთიანდნენ ასეთ საერთაშორისო ტრესტების წინააღმდეგ საბრძოლველად. პასუხი მხოლოდ ერთია: უნდა ვიბრძოლოთ ფედერალიზმის წინააღმდეგ. გერმანიაში ოტტორიშე ეხლა გვიგებს, რომ მხოლოდ პროფკავშირების ცენტრიზმს შეუძლია დაუპირდაპირდეს ანტანტის და გერმანიის კაპიტალისტების შეთანხმებას. არიან მუშები, რომელნიც ფიქრობენ, რომ იმდენად მნიშვნელოვანი არ არის მუშათა კლასის უშუალო საჭიროებათვის ბრძოლა, რამდენად ყოველდღიური, დაუცხრომელი რევოლუციონური ბრძოლა. ჩვენ, კომუნისტები, ვამბობთ: საჭიროა ყოველდღიური ბრძოლა მუშათა კლასის ინტერესებისათვის, ვინაიდან ასეთი ბრძოლა იმავე დროს საერთოდ არის მუშათა კლასის ორგანიზაციურად შემაკავშირებელი. დამპალი კაპიტალიზმი ჰყრის ქუჩაში მილიონ მუშებს. ჩვენი ამოცანაა ისინი ისევ შევიყვანოთ წარმოებაში, მაგრამ ეს ძველი ამოცანაა: უნდა აუხსნათ მუშებს, რომ დათხოვნილი მუშების დაბრუნება ფაბრიკებში იხსნის იმათ იმისგან, რომ ისინიც ქუჩაშიც არ იქნენ გამოყრილი ეს აგიტაცია ჩვენ ყოველგან უნდა ვაწარმოოთ, პროფესიონალურმა კავშირებმა ყოველნაირად უნდა ეწინააღმდეგონ ფაბრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. წითელი ახალგაზრდობის ფურცელი № 22

ორგანო საქართველოს ახალგ. კომუნ. კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტისა

კავკასიის ა. კ. კ. პირველი ყრილობა

სულ რამდენიმე კვირაა მას შემდეგ რაც დამთავრდა ა. კ. კ. კავკასიის ყრილობა, რომელმაც გადაჭრა ფრიად მნიშვნელოვანი და სასწრაფო პოლიტიკური კითხვები.

პირველი სასწრაფო და საარსებო საკითხი, კავკასიის ა. კ. კავშირის რუსეთის ა. კ. კავშირთან შეერთების შესახებ ყრილობამ დადებითად გადაჭრა. მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების სამ ნახევარი წლის ბატონობამ, დაანგრია მთლიანი ფრონტი კავკასიის რევოლიუციონურ პროლეტარიატისა, რომელმაც აამრიალა კომუნიზმის წითელი დროშა. ამიერ კავკასიის სოციალ-გამყიდველების დაცხობის და საბჭოთა მმართველობის—პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისთანავე ემჩნეოდა, რომ არავითარი სიძნელე არ იქნებოდა, კავკასიის პროლეტარიატის რუსეთის პროლეტარიატთან შეკავშირების საქმეში. მაგრამ კონტრ-რევოლიუციონერების ბატონობას მრავალი მუშა და გლეხი მოუწამლავს შოვინიზმის და ნაციონალიზმის საწამლავით და დიდი მუშაობა არის საჭირო, რომ გამოვაცალოთ ეს საწამლავი მუშების სხეულს. თუ არ მოხდა მჭიდრო შეკავშირება, თუ არ იქნა ერთი მთლიანი ეკონომიური ფრონტი, შეუძლებელია, როგორც საბჭოთა ძალა-უფლების განმტკიცება, ისე დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღორძინება, სოციალისტურ პრინციპებზე დამყარებული. საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, აწყობენ შეთქმულებებს, პარიჟში და დასავლეთ ევროპის სხვა ქალაქებში, სადაც შეკავშირებით მოქმედებენ, ყველა კავკასიის კონტრ-რევოლიუციონერები ვრანგელთან ერთად. აქ კი მენშევიკები ქადაგებენ „დამოუკიდებლობის" იდეას, კავკასიის და რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატის კავშირის წინააღმდეგ. ეს უნდა შეიგნოს ყოველმა პატიოსანმა მუშამ და გლეხმა და გამოიყვანოს აქედან სათანადო დასკვნა. და ასეთი რთული კითხვის გადაჭრა შესძლო კომუნისტურმა ახალგაზრდობამ.

აი ერთი მწვავე საკითხი რომელიც უყოყმანოთ, ენთუზიაზმით გადასჭრა მშრომელმა ახალგაზრდობამ კავკასიის ყრილობაზე ბაქოში.

ყრილობაზე მათ სთქვეს: თუ ამიერ კავკასიის კონტრ-რევოლიუცია, ერთი ხელით ხელს აწევს საბჭოთა რესპუბლიკების მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ და მეორე ხელში უჭირავს ფოლადი, ჩვენ მოსასპობათ; მაშინ ჩვენ, რევოლიუციონური ახალგაზრდობა, ვეკავშირდებით ერთმანეთს ძმურათ, როგორც ეს შეფერის პროლეტარიატს, და ვქმნით ერთ მთლიან ფრონტს, კონტრ-რევოლიუციისა და შიმშილობის წინააღმდეგ. მეორე რთული საკითხი იყო, საკითხი სხვა ნაციონალისტურ ორგანიზაციებთან დამოკიდებულების შესახებ. მაგ. ებრაელ ა. კ. კ., რომელიც არსებობს („გახრაკ") პარტიასთან და სხვ. მათთან დამოკიდებულების შესახებ, ყრილობამ დაადგინა, აწარმოოს სასტიკი ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ჩამოხსნას მათ ფარდა და დაუმტკიცოს მშრომელ ახალგაზრდობას, რომ ისინი იმ ნაციონალისტურ ორგანიზაციებზე უფრო ცუდნი არიან, რომელნიც თავის თავს „ახალგაზრდა" ესერების უწოდებენ და სხვ.

ამას გარდა მრავალი პოლიტიკური და წმინდა ორგანიზაციული საკითხები გადასჭრა კავკასიის ყრილობამ და როდესაც მიიღებენ მთელ მასალებს მათი მუშაობისა, ყველა დარწმუნდება, თუ როგორი დიდი საქმე გააკეთა მან კავკასიის ახალგაზრდობის მოძრაობის გაძლიერებისათვის.

ეკონომიურ-უფლებრივ მუშაობისათვის

არ გამართლდა ზოგიერთების აზრი, 25 წლის წინათ გამოთქმული. საქართველოში გასაგებ მიზეზების გამო არ განვითარდა შინაური კაპიტალი. საქართველოში ისე, როგორც რუსეთში ბაზრის დირიჟორი ევროპის კაპიტალი იყო. საქართველოს ბაზარი ევროპის კაპიტალისათვის ექსპლოატაციის ასპარეზი იყო. ამ რიგათ საქართველო მოექცა იმ ქვეყანათა რიცხვში, რომელნიც ევროპას სახელმწიფოებს ნედლ მასალას აწვდიან და თავის ბაზარზე ევროპიდან შემოტანილ დამზადებულ ფაბრიკატებს ასაღებს. ამის გამო არ სჩანს საქართველოს ჰორიზონტზე ფაბრიკა-ქარხნების კვამლი. არ გვყავს ჩვენ მრავალრიცხოვანი სამრეწველო პროლეტარიატი და წარმოებაში ჩაბმული მშრომელი ახალგაზრდობა.

საკითხია, როგორი გზა უნდა აიღოს ეკონომიურ-უფლებრივმა განყოფილებამ თავის მუშაობაში. 4—6 საათის სამუშაო დღე, რომელიც ჩვენ მოგვიტანა საბჭოთა წესწყობილების დამყარებამ, სავსებით უნდა გატარდეს ისეთ ადგილებში, სადაც ახალგაზრდა მშრომელთ დაზგებთან—ფაბრიკა ქარხნებში უხდებათ მუშაობა. მაგრამ როგორც ვთქვით ასეთი ქარხნები იშვიათია ჩვენში. დღეს საქართველო საბჭოთა ქვეყანაა. მაგრამ ამავე დროს არ ხაზული ეკონომიური კრიზისი და გაჭირვება არ ის. წარმოება რაც არის ისიც დანგრეულია. საჭიროა ყველაფრის თავიდან დაწყება ყველაფრის მოწესრიგება. მაშ, როგორი როლი უნდა ითამაშოს ახალგაზრდობამ, რომელიც ყველაზედ მეტად დაინტერესებულია თავისი სოციალისტური სამშობლოს შენარჩუნებაში. აქ ერთი პასუხის მიცემა შეიძლება. და ამ პასუხმა თავისი გამოხატულება ტყვიბულელ ახალგაზრდა მუშების განცხადება იპოვა: ჩვენ მხურვალე მონაწილეობა უნდა მივიღოთ წარმოების აღდგენაში და ამიტომ 4—6 საათის სამუშაო დღის შემოღება ნაადრევია. ეს ერთადერთი სწორი პასუხია. უფლებრივ ხაზებზე ჩვენ ბრძოლა არ დაგვჭირდება, რადგანაც საბჭოთა მთავრობის არსებობა ეს უკვე ყველაზედ კარგი გარანტიაა თავისუფლებისა. აქედან ჩემის აზრით ეკ. უფ. განყ. განსაკუთრებული ყურადღება ეკონომიურ ფრონტს უნდა მიაქციოს.

რის გაკეთება შეგვიძლია ჩვენ აქ? ომის შედეგი, როგორც ვიცით ყველამ, ისე მძიმე იყო, რომ მუშათა კლასის ენერგია გამოიფიტა სიმშილის და შექმნილ გაჭირვების გამო. მშრომელთა შორის აღარ არის ძველებურად შრომის უნარი. ჩვენი მოვალეობა არის ხელი შევუწყოთ ბრძოლის განაყოფიერებას წარმოებაში, რადგანაც უნდა ვიცოდეთ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ რაც მეტი სიმდიდრე დოვლათს დავამუშავებთ და დავაგროვებთ, იმდენათ უფრო აღადგენს მშრომელი დაკარგულ შეძლება-უნარს. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საბჭოთა საქართველო წვრილ-ბურჟუაზიული ქვეყანაა. ჩვენი იჩეიკა თითქმის ყველა სოფელშია, ეს კარგია. თითოეულ იჩეიკას შეუძლია დაამუშაოს 2—3 დეს. მიწას. კოლექტიური ძალა მშრომელ ახალგაზრდობისა საბჭოთა ორგანოების დახმარებით (მიწის მიცემა) დაუმტკიცებს ყველას, რომ ისიც მიიღებს მონაწილეობას სასოფლო მეურნეობის აღდგენაში. აი აქეთ არის საჭირო ეკონომიურ უფლებრივ განყოფილების ყურადღების მიქცევა. ვერ გვიშველის ჩვენ გრძელ-გრძელი თეზისების და ინსტრუქციების მიღება. საჭიროა ცხოვრებაში გავატაროთ მიღებული დადგენილებანი.

გურიის კომიტეტში შემოვიდა განცხადება ლანჩხუთის რაიკომიდან. ითხოვენ პურის ხორბლის შოვნას სათესლეთ საზამთროთ დასათესათ. ეს პირველი მერცხალია. დაწყებული საქმე დაჟინებით უნდა გატარდეს. სიფხიზლე უმთავრესად გაზაფხულზე გამართვის, თესვის დაწყებისას. მანამდი საჭიროა მოსამზადებელი მუშაობის წარმოება. დიდი მნიშვნელობა მიეცემა ამ საქმეს. კოლექტიურათ შრომა ხელს შეუწყობს წევრებს შორის ამხანაგურათ და სოლიდარული გრძნობის გამოწვევას და განმტკიცებას. ეს დიდათ საჭიროა წვრილ-ბურჟუაზიულ საქართველოსათვის. მეტი სიცოცხლე, თავდადება და თვითმოქმედების გამოჩენა. ასეთი ზომები უნდა გავატაროთ ცხოვრებაში. ხსნა ამაშია.

გაუმარჯოს ჩვენს მონაწილეობას ეკონომიურ ფრონტზე ბრძოლაში.

ვ—დია გოგეშვილი.

„გლეხთა დახმარების კვირა"

საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განზრახულია გატარდეს მთელ საქართველოში, გლეხთა დახმარების კვირა, რომლის უმთავრესი მიზანი არის, „განმტკიცება სოფლის და ქალაქის შორის დამოკიდებულების" აღნიშნული ღონისძიება საბჭოთა ხელისუფლების, დაანახვებს უპარტიო გლეხობას, რომ არსებული ხელისუფლება, მისი ინტერესების გამომხატველია.

კვირეულის ნაყოფიერათ ჩატარებაში უმთავრესად დიდი მონაწილეობა უნდა მიიღოს ახალგ. კომუნისტურმა კავშირმა, რომლებმაც უნდა დაანახონ უპარტიო მშრომელ ახალგაზრდობას, თავიანთი ერთგულება მშრომელ გლეხებისადმი და რაც შეიძლება მეტი ამხანაგები ჩაითრიონ ამ მუშაობაში, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანს საბჭოთა საქართველოს.

ამისთვის ყოველი ძალა და ენერგია კომკავშირმა ამ საკითხის გარშემო უნდა მოიკრიბოს, და კომპარტიასთან ერთად, შეკავშირებულად გამოვიდეს ამ ეკონომიურ ფრონტის ერთ ერთ მნიშვნელოვან პოზიციაზე; არც ერთი წევრი კომკავშირისა არ უნდა ჩამორჩეს ამ საქმიანობას, და მასთან ერთად უნდა აუხსნას ყველა მშრომელ ახალგაზრდობას ყოველივე ამის მნიშვნელობა. მე დარწმუნებული ვარ მშრომელი ახალგაზრდობა—კომუნისტურ კავშირის იდეიურ და ტეხნიკური ხელმძღვანელობით, ღირსეულათ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, მშრომელი ხალხის და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, და მით ჩვენს მოსისხლე მტერს, სამუდამოთ დაეკარგება იმედი, თავის ძველ ზრახვების განხორციელებისა. მაშ მთელი ყურადღება და ახალგაზრდული ძალა, შემოვიკრიბოთ ხსენებულ კვირეულის ნაყოფიერათ ჩასატარებლად. ეს იქნება ერთ ერთი თავდებთაგანი ჩვენი სიმართლის საბოლოო გამარჯვებისა.

შ. ღ—ძე.

ოთხი სექტემბერი თბილისში

კვირას 4 სექტემბერს მომხდარი ალლუმი ქ. თფილისში, სასურველად ჩატარდა. ყველა წევრები კომ. კავშირისა დიდი აღფრთოვანებით იღებდენ მონაწილეობას მასში. ყველა რაიონებიდან მწკრივად დაწყობილებმა, თავი შეიყარეს თფილისის კომიტეტის ბინის წინ, სადაც გაიმართა ალლუმი. ალლუმი მიიღო ამხ. ორჯონიკიძემ, რომელიც დიდის სიხარულით შეხვდა, ახალგაზრდების ამგვარ გამოსვლებს. ალლუმის გათავების შემდეგ ყველანი მწყობრათ გაემართნენ სასახლისაკენ, სადაც მოწყობილ იქმა მიტინგი. მიტინგზე ილაპარაკეს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ბ. მდივანმა, შემდეგ, ბრძოლაში გაჭაღარავებულმა ჩვენმა მასწავლებელმა ამხ. ფ. მახარაძემ და ახალგ. კ. კ. ცენტ. კომიტ. წარმომადგენელმა ამხ. დევდარიანმა, რომლებმაც აღნიშნეს ის მწარე წუთები ომიანობისა რომლებშიაც განიცდიდა და განიცდის ეხლაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, ახალგაზრდობა. მიუხედავად ყოველგვარ [illegible], რომლებიც მათ წინ გადაუღობეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებმა, მათ მაინც პირველად აღძრეს საკითხი ომის წინააღმდეგ მას შემდეგ, რაც სოც. გამცემლებმა უღალატეს რევოლიუციონურ მუშებს, და გახდენ ლაქიები ბურჟუაზიისა. სწორედ მაშინ კომუნისტურ ახალგაზრდობას არ დაივიწყებია თავის მიზნები, პირველად მათ აღმართეს დროშა და დაიწყეს ბრძოლა ომის საწინააღმდეგოთ.

მიტინგის გათავების შემდეგ ყველა მწყობრათ გაეშურენ ალექსანდროვის ბაღში, იქ გაგრძელდა მიტინგი ძმათა სასაფლაოზე. გამოსულმა მთელმა რიგმა ორატორებისა აღნიშნეს და მოიგონეს ის ჩვენი მებრძოლი ძმები, რომლებიც გმირულად დაეცენ ბრძოლის ველზე მენშევიკების წინააღმდეგ, მოიგონეს აგრეთვე 19 თებერვალი (სისხლით შეღებილი შაბათი) სადაც ჯალათ მენშევიკების მიერ იქმნა გარეკილი მიტინგი და მრავალი ჩვენი მოწინავე ამხანაგები დახვრეტილი. ყველა ამხანაგებმა ქუდის მოხდით და სამგლოვიარო ჰიმნის დაკვრით მოიხსენიეს ისინი.

საღამოს ყველა რაიონებში გამართულ იქნა ფასიანი მიტინგ-სპეკტაკლები ვოლგის მიდამოების დამშეულთა ამხანაგების სასარგებლოდ, რომლებიც ყველგან სასურველად ჩატარდა და ამით შევსძელით ჩვენ ცოტა თუ ბევრად ჩვენი მოძმეების დახმარება.

ც.

ოთხი სექტემბერი ქ. ზესტაფონში

კვირას, 4 სექტემბერს, ქ. ზესტაფონის და მის რაიონის ახალგაზრდობამ იდღესასწაულა საერთაშორისო ახალგაზრდათა ინტერნაციონალის დღე.

დილიდანვე ამხანაგები იყრიან თავს ბიუროში.

ათ საათზე მწკრივში დაწყობილნი წითელი დროშებით და ინტერნაციონალის სიმღერით გაეშურენ მოედნისაკენ, სადაც მიტინგი გახსნა ამხ. დ. ჭანკოტაძემ და გააცნო მსმენელთ, რომელნიც იყვნენ აგრეთვე სოფლებიდან მოსულნი, 4 სექტემბრის მნიშვნელობა. ილაპარაკეს: პარტკომის მდივანმა ამხ. ბუაჩიძემ, რომელმაც გააცნო დამსწრე ხალხს ახალგაზრდობის მოძრაობა, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდებს სოციალისტურ რევოლიუციაში.

შემდეგ ილაპარაკა ახალგაზრდობის სახელით დ. მშვენიერაძემ. მან განმარტა ამ დღის მნიშვნელობა, მოიხსენია, თუ როგორ მდგომარეობაში იყო მთელი რიგი წლების განმავლობაში საქართველოს ახალგაზრდობა, როდესაც სხვა ქვეყნებში დღეის დღეს, წითელი დროშით ხელში ზეიმობდენ ამ ძვირფასს ახალგაზრდობის დღეს; და სთქვა, რომ წელს ეს პირველი დღეა საქართველოს ახალგაზრდათა სხვა ქვეყნებთან ერთად საზეიმო ფერხულში ჩამბისა, დღეის შემდეგ თამამათ შეგვიძლია შევძახოთ მთელი მსოფლიოს ახალგაზრდებს, რომ „ჩვენ მზათ ვართ თქვენთან ერთათ ვიყოთ გასაჭირში"-ო.

შემდეგ ილაპარაკა რევკომის წარმომადგენელმა მ. გურგენიძემ, რომელმაც აღნიშნა მდგომარეობა ვოლგის დამშეულ მუშებისა. განუმარტა ხალხს მდაბიო ენაზე, რომ ისეთივე მუშები, როგორიცა ხართ თქვენ, დღეს ბუნების დაუნდობელ სტიქიის გამო შიმშილს განიცდიან. მას დახმარება მხოლოთ ის ვისაც გამოუცდია იგივე მდგომარეობა.

ხალხი დიდი კმაყოფილი დარჩა და გაიძახოდა: „დავეხმაროთ რითაც შეიძლება, ჩვენი ძმებია"-ო.

შემდეგ მიტინგი დაიხურა და გამოვემართეთ ბიუროსაკენ, სადაც ცოტა ხნის შემდეგ ახალგაზრდობა დაიშალა ინტერნაციონალის სიმღერით.

საღამოს გამართულ იქნა ახალგაზრდათა დასის მიერ წარმოდგენა საბჭოთა რუსეთის ვოლგის მიდამოების დამშეულთა სასარგებლოთ,

ოთხი სექტემბერი ქ. თელავში

თელავის მშრომელ ახალგაზრდობამ, თავის დღესასწაული, 4 სექტემბერი, ჩინებულათ ჩაატარა. აღსანიშნავია ეს დღე თელავის მშრომელ ახალგაზრდობის ცხოვრებაში, ვინაიდან ის ამ დღეს გამოვიდა შეკავშირებულათ, დარაზმულათ კომუნისტურ დროშით ხელში და პირველათ შეძლება მიეცა, იდღესასწაულა ეს დღე.

ყველა წევრს კომკავშირის ეტყობოდა ამ დღეს სახეზე მხიარულება. ამხანაგები თავს იყრიან მწყობრად ბიუროსთან მათ უერთდება იყალთოდან და წინანდალიდან ჩამოსული ამხანაგები. ბიუროდან მწკრივად დაწყობილნი ისინი გაემართნენ მუშათა კლუბის მოედანზე, სადაც გაიმართა ალლუმი. ალლუმის გათავების შემდეგ გაიმართა მიტინგი. პირველათ გამოდის ამხ. დ. კაჭარავა რომელმაც აღნიშნა მსოფლიო პროლეტარულ ახალგაზრდობის დღის, 4 სექტემბრის, მნიშვნელობა და ის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა რომელსაც აწარმოებს პროლეტარული ახალგაზრდობა იმპერიალისტების წინააღმდეგ და სხვა.

შემდეგ დღესასწაულს ულოცავს მიტინგს თელავის მაზრის პროფესიონალური კავშირის სახელით ამხ. როხაძე და თავის სიტყვაში აღნიშნავს ახასიათებს, იმ ნაბიჯებს რომელიც გადადგა რუსეთის კომუნისტურმა კავშირმა სოციალისტურ მოძრაობაში, ის მიუთითებს კომუნისტურ კავშირის ამოცანებზე და უსურვებს თავიანთი ლოზუნგების გამართლებას. მისმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე.

ადგილობრივ თელავის კომუნისტური ორგანიზაციას სახელით დღესასწაული მიულოცა ამხ. ვანო მოსიაშვილმა, რომელმაც უსურვა ენერგიული მუშაობა მშრომელ ახალგაზრდობას. შემდეგ პროცესია გაემართა ძმათა სასაფლაოზე, სადაც სიტყვები წარმოსთქვეს რამოდენიმე ამხანაგებმა რომლებმაც მოიხსენიეს მებრძოლი ძმები, დაცემულნი მენშევიკებთან წინააღმდეგ ბრძოლაში. შემდეგ პროცესია დაბრუნდა ისევე კომკავშირის ბიუროსთან სადაც მიტინგი დამთავრებულათ გამოაცხადა ამხ. კაჭარავამ.

საღამოს გაიმართა გრანდიოზული წარმოდგენა კომუნისტურ კავშირის ხელმძღვანელობით ვოლგის დამშეულის მშრ. ხალხის სასარგებლოთ. წარმოდგენის წინ მოხსენება გააკეთა ამხ. დავით კაჭარავამ მსოფლიო პროლეტარული ახალგაზრდობის დღის 4 სექტემბრის მნიშვნელობაზე.

რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ახალგაზრდობა მუშაობს

ქ. ლეპელის, ვიტებსკის გუბერნიაში ა. კ. კ. ორგანიზაციამ გადასდო დამშეულთა სასარგებლოთ ხილეულობის ბაღის მთელი შემოსავალი.

ამ ღონისძიებას მიბაძა უპარტიო ახალგაზრდობამაც.

ეხლა აწარმოებენ შეკრებილ ხილების გახმობას, და მთელი შეგროვილი ხილი ეგზავნება დამშეულებს. ამას გარდა ახალგაზრდობა სდებს დამშეულების სასარგებლოთ 10 პროც. საკუთარი შემოსავლიდან. ღებულობენ ზომებს საბავშვო სახლების დასაარსებლათ, რომელშიაც უნდა მოათავსონ გადმოხვეწილ დამშეულთა ბავშვები.

მობილიზაცია ა. კ. კ. წევრებისა.

კრემენჩუგიდან გვაცნობებენ, რომ უკრაინის ა. კ. კ. ადგილობრივმა საგუბერნიო ბიურომ გამოაცხადა მობილიზაცია წევრებისა. მობილიზაციით გაწვეულია 200 წევრი, რომელთაც ევალებათ სასურსათო გადასახადის შეკრება და დამშეულთა დახმარება.

ეხმარებიან რითაც შეუძლიათ.

ქ. კანანდის (თურქესტანი) ბავშვებმა ფეხსაცმელის სახელოსნოს შეგირდებმა, გადასწყვიტეს შეკერონ 200 წყვილი სანდალი დამშეულ გუბერნიების ბავშვებისათვის.

306 დესეტინა.

სმოლენსკის გუბერნიის კომიტეტის რჩევით, ზნამენოგოროდის მაზრის (სმ. გუბ.) ახალგაზრდათა კავშირის ორგანიზაციამ, მიიღო მონაწილეობა დათესვაში. კამპანიის შაბათობებში და დასთესა 306 დესეტინა მიწა.

ვოლგის მხარის დამშეულთა დახმარება.

„ვოლგის ნაპირების დახმარების დღემ", რომელიც მოეწყო ქ. ტვერში 11 აგვისტოს რ. ა. კ. კ. საგუბერნიო კომიტეტის მიერ, მოგვცა 4.663000 მან.

სამთამადნო მუშების ტვერის კონფერენციამ შეკრიბა 100,000 მან. დამშეულთა დასახმარებლათ.

ჩვენი მუშაობა საქონლის შესაძენათ.

რ. ა. კ. კ. მოსკოვის ქალაქის რაიონულმა ორგანიზაციამ დაადგინა, გადასდოს ყველა ოქროსა და ვერცხლის ნივთები, საზღვარ-გარეთ საქონლისა და სათესლეს შესაძენათ დამშეულების სასარგებლოთ. ამასთანავე გადასწყვიტა გადასდონ ნაწილი თავიანთ თვიურ შემოსავლიდან. უკვე შეკრებილია 205,000 მ. საბჭოთა ფულები და 28 მ. 40 კ. ვერცხლი.

გაიღეს წვლილი.

რ. ა. კ. კ. სმოლენსკის ქალაქის ორგანიზაციამ დაადგინა, გადასდოს დამშეულთა სასარგებლოდ ორი დღის მთელი შემოსავალი და ერთ დროული დახმარება თავიანთ ულუფიდან.

სად არის კიდევ კაპიტალისტებს ხელისუფლება

იტალიაში.

იტალიის ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს ეხლა ყავს 70 000 წევრი. მუშაობა მიმართულია პოლიტიკურ აღზრდისაკენ და ძლიერ კარგათ მიმდინარეობს. მიუხედავათ გაძლიერებული დევნისა, დატყვევებათა და სხვა ასეთებისა, ახალგაზრდობის ენერგია არ სუსტდება. სწარმოებს აგიტაცია ბურჟუაზიულ ომიანობის წინააღმდეგ. თითქმის ყველა არმიის კაზარმებში მოწყობილია კავშირის უჯრედი როდესაც იტალიის სოციალისტურ პარტიაში მოხდა განხეთქილება, კავშირმა მხარი დაუჭირა კომუნისტებს, „ცენტრი." გამყიდველ ჯგუფის წინააღმდეგ სერრატის მეთაურობით.

შვეციაში.

14, 15 და 16 მაისს სწარმოებდა სტოკჰოლმში შვეციის ახალგაზრდათა კავშირის ყრილობა, 25,000 წევრთა მიერ არჩეული. მონაწილეობდა 230 დელეგატი, რომელთა შორის 194 წარმომადგენელი, არჩეული იყო 210 ორგანიზაციიდან. სტუმრებს შორის იყვნენ ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლები: ამერიკის, ნორვეგიის და დანიის ახალგაზრდათა კავშირებიდან. ყრილობამ ერთხმათ დაადგინა, მიეღოთ სახელწოდება „შვეციის კომუნისტურ კავშირისა" (სოციალ-დემოკრატიულის მაგივრათ), ყრილობამ მიიღო კომუნისტური პროგრამა და დაადგინა მიემხრონ კომუნისტურ პარტიას.

საფრანგეთში.

საფრანგეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი, რომელმაც ტურის კონგრესზე აგვისტოში 1920 წელს განდევნა გამყიდველები, დიდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს. მის რიგებში ეხლა 20,000 წევრია. მრეწველობის ყოველ ცენტრში მოწყობილია მისი ორგანიზაციები, იგი შესდგება განსაკუთრებით მშრომელ ახალგაზრდობისაგან და მათ შორის დიდი პოპულიარობა აქვს მოპოებული.

სპარსეთში.

ყველაზე უფრო ძლიერ ორგანიზაციათ სპარსეთში, ითვლება წვრილ-ბურჟუაზიული კავშირი „ტაპაქი", რომელიც არსებობს უკვე ათი წელი დემოკრატიულ პარტიასთან ერთად. იგი აკავშირებს დაახლოებით 1000 წევრს და სარგებლობს პოპულიარობით, როგორც განმანათლებელი ორგანიზაცია.

მდგომარეობა მშრომელ ახალგაზრდობისა აუტანელია. ის სასტიკათ იყვლიფება და მისი მთლიანათ შეკავშირება სწარმოებს მხოლოდ უკანასკნელ ხანებში სავაჭრო ქალაქებში დაიწყეს დაარსება ცალკე ახალგაზრდათა ორგანიზაციების, რომელთაც დაახლოებით 100 წევრი ყავთ. ორგანიზაციისაკენ მისწრაფება თანდათანობით იზრდება და სულ მალე მოსალოდნელია შეერთება ახალგაზრდათა მუშათა ორგანიზაციებისა მთლიან კომუნისტურ კავშირში.

როგორ მუშაობენ საბჭოთა საქართველოში

გორის მაზრა.

გორის მაზრაში 14 რაიონია. 10 ში მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. პერერეგისტრაცია ყველგან მოხდა, გარდა ახლათ დაარსებული რამოდენიმე სოფლის უჯრედებისა. ეხლა ორგანიზაციაში ირიცხება დაახლოებით 700 წევრი. მუშები და გლეხები სიხარულით შემოდიან კავშირში და მალე ეჩვევიან კავშირის მუშაობას. ბორჯომში, გორში და სურამში გამოდის გაზეთი. გორში, ხაშურში და ბორჯომში გახსნილია წითელ ახალგაზრდათა კლუბები და მათთან ერთად მოწყობილია ბიბლიოთეკები.

ხელი მოკიდეს მიწის დამუშავებას კავშირის ძალებით.

სამხედრო ვარჯიშობა სისტემატიურათ სწარმოებს ყველა რაიონებში, მცოდნე სამხედრო ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით.

4 სექტემბრის დღესასწაული დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა, ამ დღისთვის სამაზრო კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება. 4 სექტემბერს ყველა რაიონებში მოეწყო სპეკტაკლები, მიტინგ-კონცერტები, რომელმაც მოგვცა მილიონ მანეთზე მეტი წმინდა შემოსავალი და რომელიც გადაეცა ვოლგის სანაპიროების დამშეულთა დამხმარე კომიტეტს. წევრების მოთხოვნის თანახმათ, დაიწყეს სხვა და სხვა საგნების შეგროვება უჯრედებში დანარჩენ რაიონებში სწარმოებს გაძლიერებული აგიტაცია.

თბილისის მაზრა.

20 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე სამაზრო კომიტეტმა შემდეგი გააკეთა: კარგათ სწარმოებს მუშაობა წავკისის რაიონში. იქ დაარსებულია 10 უჯრედი, რომელშიაც 150 წევრი ირიცხება. ყველა უჯრედებში გაგზავნა ინსტრუქციები, პლაკატები და ლიტერატურა.

ავჭალის რაიონში გატარებულია შრომის თანასწორი განაწილება. კრმა-გელსკის უჯრედებმა მოაწყო სასოფლო სამეურნეო კომუნა.

4 სექტემბრის დღესასწაული კარგათ ჩატარდა.

მიტინგ-კონცერტებმა და შეწირულებათა შეკრებამ, რომელიც მოეწყო, ვოლგის სანაპიროების დასახმარებლათ, მოგვცა დაახლოებით ერთ მილიონ მანეთამდე. ზოგიერთ ადგილებში მუშებმა გაიღეს მთელი თავისი თვიურ შემოსავლის ნახევარი.

თბილისში.

თფილისის ქალაქის ორგანიზაციის პოლიტიკურ განმანათლებელმა ბიურომ მოაწყო საგიტაციო კამპანია ოთხი სექტემბრის დღესასწაულის ჩასატარებლათ. მოწყობილმა სპექტაკლებმა, რომელზედაც იკითხებოდა მოხსენებები, მოგვცა დაახლოებით 5 მილიონი მანეთი. სამხედრო სასპორტო მუშაობა შემდეგში გამოიხატა: მოვითხოვეთ სამაზრო კომისარიატიდან სამხედრო სპეცები. სამაზრო კომისარიატთან შეთანხმებით ხდება ვინტოვკების გამოცვლა, რუსულ ვინტოვკებზე. დანიშნული კომისია წევრების სამედიცინო შესამოწმებლათ. ოთხ სექტემბერს მოეწყო ალლუმი, რომელიც სასურველათ ჩატარდა.

ჩვენი ფოსტა

დ. კაჭარავას. ფანტაზიორობას თავი დაანებე, სწერე წერილები მოკლეთ და გასაგები ენით.

იქაურს. ზღაპრებს, ჩვენ ფურცელში არ ვათავსებთ. სწერეთ წერილები ადგილობრივ კომკავშირის მდგომარეობაზე.

...კებს და ქარხნების დაკეტვას, რომ უმუშევართა რიცხვი არ გადიდდეს. უმუშევართა საკითხი ყვითელ ამსტერდამსაც აინტერესებს, მაგრამ დაუგდეთ ყური, რას გვეუბნებიან ისინი. პროფკავშირების მდივანი შპანდალში წინადადებას აძლევს უმუშევართა მიწაზე დაახლოების შესახებ, ერნესტ შულცი კი წინადადებას აძლევს დაუბრუნდეთ მალთუზიანიზმს და გვითითებს ომზე, როგორც პროფ. გრუშერი, რომელიც ომში ხედავს ერთად ერთ საშუალებას, რომ გერმანია განთავისუფლდეს 15.000.000 მილ. ზედმეტ მოსახლეობისაგან. პროფკავშირები უნდა გადავიდნენ შეტევაზე, რომ კაპიტალიზმმა მხოლოდ თავდაცვას მოჰკიდოს ხელი. რომ გამოვიდნენ კრიზისიდან, კაპიტალისტები სპობენ წარმოებას, საბოტაჟს უცხადებენ მას. მაგალითად გერმანიაში იმათმა შეამოკლეს შაქრის წარმოება 40 პროც. და დაკეტეს თითქმის ყველა საგურე ქარხნები. კაპიტალისტების საბოტაჟს მუშები უპასუხებენ საწარმოების ხელში ჩაგდებით (იტალია). მაგრამ წარმოება დიდხანს რომ დარჩეს მუშებს ხელში, საჭიროა მასალის მოზიდვა და ორგანიზაციურად შეკავშირებული ძალა ბურჟუაზიის სამხედრო აპარატისა და ყვითელ ინტერნაციონალის საბოტაჟის წინააღმდეგ საბრძოლველად. მოიგონეთ, ამსტერდამის ბელადთა კრებაზე 30 აპრილს ლონდონში გერმანელები ეუბნებოდნენ ბელგიის, საფრანგეთის, იტალიის და ინგლისის სოციალ პატრიოტებს: ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ თქვენი კაპიტალისტების დასახმარებლად, მაგრამ თქვენც მიიღეთ ყოველივე თქვენგან დამოკიდებული ზომები ჩვენი კაპიტალისტების დასახსნელად. ამით ჩვენ ვიხსნით მუშათა მოძრაობასო. მოიგონეთ შემდეგ ხელშეკრულება სპაში, რომელიც გერმანიის მუშებს საფრანგეთის ბელგიის და ინგლისის კაპიტალისტების მონობაში აგდებს. დასკვნა ჩვენთვის, კომუნისტებისთვის ცხადია: ინტერნაციონალური და არა ნაციონალური გაერთიანება ინგლისის, ბელგიის, გერმანიის, საფრანგეთის და იტალიის მუშების. ბოლო უნდა მოეღოს ნაციონალურ ორგანიზაციებს, ვინაიდან ეს, ვიმეორებ, ნიშნავს პროფესიონალურ მოძრაობის სიკვდილს, კაპიტალიზმი ცდილობს გაპოს მუშათა კლასი და გამოიყენოს ნაკლებად შეგნებული ელემენტები. გერმანიის ნახშირის მთხრელები ოდესღაც მუშების საუკეთესო ნაწილს შეადგენდენ. მერე რა ქნეს კაპიტალისტებმა? მისცეს იმათ პრემიები, აავსეს იმათი კუჭი და აიძულეს ემუშავნათ ინგლისის კაპიტალის სასარგებლოდ, რომ ამ გზით შუღლი ჩამოეგდოთ მუშებში. პროფკავშირების ამოცანაა ხელი შეუშალონ კაპიტალისტების ასეთი ცდას. ინგლისში მეშახტეებისათვის მხარი უნდა დაეჭირათ ტრანსპორტის მუშებს და რკინის გზელებს უმთავრესად თავიანთ სასარგებლოთ, რომ კაპიტალისტებს არ შესძლებოდათ ინგლისის მუშების გათიშვა. კაპიტალისტებმა გამოიგონეს კიდევ ერთი ცბიერება. იმათმა დაიწყეს მუშებისათვის მოგების ნაწილის მიცემა. როგორი დაცინვაა ჩვენი ამოცანა, ხომ იმაში მდგომარეობს, რომ სრულიათ მოვსპოთ ზედმეტი ღირებულება (მოგება). სხვები აყენებენ სოციალიზაციას და ნაციონალიზაციას, რომელნიც უნდა გატარდნენ მშვიდობიანი გზით. ნამდვილი მოღალატეობაა. ნამდვილი სოციალიზაცია ნიშნავს უპირველესად ყოველისა ხელისუფლების ხელში ჩაგდებას თვით მუშების მიერ რევოლიუციონური გზით სოციალიზაციის გასატარებლად.

რეზიუმეს გაკეთებისას უნდა ვსთქვა, რომ პროფკავშირების ამ აღნიშნულ ორგანიზაციებს გარდა (ცენტრალიზმის, წარმოებითი და ინტერნაციონალური პრინციპის მიხედვით გაერთიანება), მუშებმა უნდა მოაწყონ ყველა ქვეყანაში თავდაცვა, როგორც მუდმივი ორგანიზაცია მებრძოლ და თავდამსხმელ კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რომელიც გამოდის ყოველგან ეგრედ წოდებულ ტეხნიკური სასწრაფო დახმარების (გერმანიაში), ფაშიზმის (იტალიაში) სახით და სხვ. მთავარი ჩვენი ამოცანა კი, როგორც ამხ. ზინოვიევმა აღნიშნა, მდგომარეობს კომუნისტების მიერ პროფკავშირების დაპყრობაში იმისათვის, რომ ისინი შეიქნენ კომუნისტური. სხდომა დაიხურა დღის 5 საათზე.

4 ივლისის სხდომა

კონგრესის 15 სხდომას ხსნის ამხ. კოლაროვი 7 ს. 20 წ.

სიტყვა ეძლევა ამხ. ვარგას მოხსენებისათვის კომინტერნის მუშაობის შესახებ, რომელსაც უნდა გამოერკვია მსოფლიო ეკონომიური კრიზისის საკითხი.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო.

ტყვარჩელის ქვა-ნახშირის კონცესიის გარშემო

(საქრევკომის საინფ. განყოფ.)

სტამბოლიდან ამხ. მოდებაძე გვატყობინებს, რომ იტალიის მთავრობასთან მიწერ-მოწერის შემდეგ მან ეცნობა იტალიის მთავრობის დადგენილება, რომლის ძალითაც რომიდან ამ დღეებში გამოიგზავნება თბილისში სპეციალური წარმომადგენელი ტყვარჩელის კონცესიის საქმეების მოსაწყობად.

სენაკის სამაზრო რევკომის მუშაობა.

მოსამსახურეთა შტატის შემცირება.

15 სექტემბრიდან ყველა თემის რევკომებს წინადადება მიეცათ შეამცირონ შტატი 2 კაცამდე, გარდა რევკომის წევრებისა. აღნიშნული დროიდან ხსენებულ შტატს გარეშე პირთ ჯამაგირი აღარ მიეცემათ.

სამეურნეო იარაღების ჩამორთმევა.

პრინცი—მიურატის ყოფილი ქონებიდან ყველა სამეურნეო იარაღი რევკომის დადგენილებით გადაეცა აგრონომიულ განყოფილებას.

ფეხსაცმელი მილიციისთვის.

რევკომის დადგენილებით საზამთროდ ადგილობრივ და სამაზრო მილიციას უნდა მიეცეს წუღები, რომელიც დამზადებულ უნდა იქნეს სენაკში. დამზადდება 300 წყვილი წუღა ეკონომიურ განყოფილების მიერ შემუშავებულ ფასებში.

ავტომობილით მიმოსვლა.

რევკომმა აღძრა შუამდგომლობა საქართველოს რევკომის წინაშე, რათა მიეცეს მას ერთი ავტომობილი ახალსენაკის, ზუგდიდის გზაზე მცხოვრებლების გადასაყვანად, ფასი გადახდით. შუამდგომლობა აღძრა აგრეთვე სტამბის შეძენის შესახებ.

მდგომარეობა ზუგდიდის მაზრაში.

ზუგდიდის მაზრის რევკომის თავმჯდომარის ცნობებით ზუგდიდის მაზრის მდგომარეობა შემდეგია: 1) მცხოვრებთა სასურსათო მდგომარეობა მაზრის რამოდენიმე ათეულ თემებში მეტის მეტ ცუდ პირობებშია განსაკუთრებით საგრძნობია მდგომარეობა მაზრის მაღლობ ნაწილებში. 2) მოსავალს კარგი პირი უჩანს, თუმცა მიწები გვალვის გამო გვიან დაითესა. ასევე ითქმის ვენახებზედაც. საერთოდ საჭიროა შემოდგომის (სექტემბერი, ოქტომბერი) კარგი ამინდები. 3) ხალხის სულიერი განწყობილება შედარებით არსებულ ეკონომიურ კრიზისთან—დამაკმაყოფილებელია. საჭიროა მიღებულ იქნეს ზოგიერთი ღონისძიებანი ტანსაცმელის მიწოდების მხრივ და ყოველ შემთხვევაში მარილი თავის დროზე უნდა იქნეს გადაცემული ადგილობრივ ორგანოებზე. 4) მცხოვრებთა დამოკიდებულება მთავრობისადმი კეთილ განწყობილია—თუ კი არ მივაქცევთ ყურადღებას ზოგიერთ პირთა უკმაყოფილებას არსებულ წესწყობილებით. 5) ცენტრალურ ორგანოების აპარატის მუშაობაზე ითქმის, რომ მუშაობა მოწესრიგებულია: რევკომში, შინაგან მართველობის განყოფილებაში, მუშათა და გლეხთა ინსპექციაში, ჯანმრთელობის და საადგილ მამულო განყოფილებაში. მეტად ცუდადაა დაყენებული საქმე სასურსათო კომიტეტში სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში, განათლების და კომუნალურ განყოფილებებში. იუსტიციის ბიურო დიდი ხანია რაც მოწყობილია, მხოლოდ სახალხო მოსამართლეები და გამომძიებლები კიდევ არ შესდგომიან მუშაობას, რადგან მათი დამტკიცების შესახებ პასუხი კიდევ არ მოსულა ცენტრიდან. 6) სწავლა განათლების საქმე არ არის დაყენებული კარგად. შენობები დაზიანებულია. და ითხოულობს კაპიტალურ რემონტს. 7) პროპაგანდა ყოველკვირეობით ეწყობა ქალაქში და სოფლებში. 8) მიწის კომიტეტი შეძლებისდაგვარად განაგრძობს მუშაობას. გლეხების დამოკიდებულება კომიტეტის მუშაობასთან კეთილ განწყობილია.

დახმარება თბილისს.

მიიღო რა მხედველობაში რევკომმა, რომ თბილისის მუშების მდგომარეობა სურსათის მხრივ გაცილებით უფრო უარესია, ვიდრე ადგილობრივ მცხოვრებლებისა, დაადგინა აღმოუჩინოს დახმარება თბილისის მუშებს. რადგან რევკომს სხვა საშუალება არა აქვს და რადგანაც ცეცხლისაგან დაზარალებულების მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, რევკომი შესაძლებლად სცნობს გაგზავნოს ის 150 ფუთი სიმინდი, რომელიც გადადებული იყო დაზარალებულთა დასახმარებლად.

საბჭ. საქართველო დამშეულთა დასახმარებლად

1 ოქტომბერს (ახ. სტილით) ქ. ცაგერში გაიხსნება ჩვეულებრივი, ყოველწლიური „იარმუკა". მთელი შემოსავალი გადაეცემა „დამშეულთა დამხმარე ცენტრ. კომიტეტს", რომლის ადგილობრივი განყოფილება უკვე დაუარსებია ჩვენი პარტიის ლეჩხუმის სამაზრო კომიტეტს. დამხმარე კომიტეტს აზრათ აქვს, სხვათა შორის, ჩამოვლა მაზრის ყველა კუთხის დახმარების შესაგროვებლად. გლეხობა მზათ არის თავისი წვლილი გაიღოს.

შეცდომის გასწორება

კავკასიის ცალკე არმიისათვის, მისი არსებობის სამი წლის თავის აღსანიშნავ დღესასწაულის დროს გადაცემულ ალამის მიმართვაში, რომელიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, მიმძღვნელ ორგანიზაციების სახელწოდებათა შორის ორი შეეპარა კორექტურული შეცდომა: 1) „საქართველოს პარტიის ცენტრალური კომიტეტი"-ს მაგიერ უნდა იყოს „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი"; 2) „საქართველოს კომუნისტურ წარმოებითი კავშირების ცენტრალური საბჭო"-ს მაგიერ: „საქართველოს პროფესიონალური წარმოებითი კავშირების ცენტრალური საბჭო".

ჩვენი ფოსტა

პროვინციის პარტორგანიზაციებს პასუხისმგებელ კორესპონდენტებს და პასუხისმგებელ პარტმუშაკთ.

მოგვაწოდეთ კორესპონდენციები მიმდინარე მუშაობის შესახებ პარტიული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, სწორი და დასაბუთებული. განდევნეთ კორესპონდენციებიდან ეგრედწოდებული „თეორია" და ფრაზა.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

მწუხარებაში მყოფნი [illegible] აკოფაიშვილი, მამამთილი აბრამ აკოფაიშვილი და დედამთილი მაპი, [illegible] ლისა მაქსიმე და თინა გაუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი

მარიამ აკოფაიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება მოხდება 25 სექ. დილის 10 საათზე მიხეილის საავადმყოფოდან. დაკრძალულ იქნება ვერის სასაფლაოზე

ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილება აუწყებს ნათესავთ ნაცნობთ და ამხანაგებს სიღნაღის პარტკომის ქალთა განყოფილების გამგის ძვირფას ამხანაგის

მარიამ აკოფაიშვილის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა დანიშნულია დღეს, კვირას 25 სექტემბერს დილის 10 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან, დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. ამხანაგებს, რომელთაც სურთ უკანასკნელად სცენ პატივი განსვენებულს, ვთხოვთ ამ დროისათვის მოგროვდნენ მიხეილის საავადმყოფოსთან.

დღეს, კვირას, 25 სექტემბერს, დილის 11 საათზე დასაფლავებულ იქნება ს. კ. პ. წევრის

ამხ. ნადირაძის დედა,

რომელიც გარდაიცვალა მის შვილის ამხ. ნადირაძის პიატიგორსკში გარდაცვალების შესახებ ცნობის მიღებით გამოწვეულ [illegible] გან. მიცვალებულის ძმა გრ. ბასილაშვილი სთხოვს ამხ. ნადირაძის ნაცნობებს და მეგობრებს დაეხმარონ ამხ. ნადირაძის დედის დასაფლავებაში.